

**შპს „ეიჩ ჰუკა“
И HOOKAH
ს/ნ 445591841**



ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი

1. ფინანსური მდგომარეობა.....	3
2. საქმიანობის შედეგები.....	4
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5
3.1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
3.2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
3.3. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები.....	8
3.4. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები.....	8

1. ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	54,189	70,052	2,227,061
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	287,545	870,146	22
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	116,360	314,237	2,935,939
მარაგები	1,796,369	1,649,237	894,189
სხვა	1,796,369	1,649,237	894,189
სხვა არამატერიალური აქტივები	66,689	71,512	48,257
ძირითადი საშუალებები	10,517,898	10,192,424	904,583
სულ აქტივები	12,839,050	13,167,608	7,010,051
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	2,932,370	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	126,302	93,839	319,586
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	6,264	6,052	5,849
საგადასახადო ვალდებულებები	18,255	31,134	2,740
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	-	2,987,689	-
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	3,229,503	4,352,000	2,500,000
სხვა ვალდებულებები	373,917	67,616	1,547
სულ ვალდებულებები	6,686,611	7,538,330	2,829,722
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	7,276,018	5,380,687	4,270,825
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	(1,123,579)	248,591	(90,496)
სულ საკუთარი კაპიტალი	6,152,439	5,629,278	4,180,329
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	12,839,050	13,167,608	7,010,051

დირექტორი

ნატალიე რაპალ



2. საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	1,816,052	3,810,193
საქონლის გაყიდვიდან	1,322,186	3,810,193
სხვა	493,866	-
გაყიდვების თვითღირებულება	(719,517)	-
საერთო მოგება	1,096,535	3,810,193
დასაქმებულთა ანაზღაურება	(340,355)	(338,099)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(295,945)	(18,794)
საპროცენტო ხარჯი	(742,019)	-
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(584,944)	-
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,963,263)	(356,893)
საოპერაციო მოგება	(866,728)	3,453,300
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(505,442)	(3,114,206)
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი	(1,372,170)	339,094
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	(1,372,170)	339,094
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(1,372,170)	339,094
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	5,629,278	4,180,329
კაპიტალის სხვა ცვლილებები	1,895,331	1,109,855
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	6,152,439	5,629,278

დირექტორი

ნატალიე რაჭალა



3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ეიჩ ჰუკა“ (ს/ნ 445591841) დაფუძნებულია 2021 წელის იანვარში. საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ქობულეთში, სოფელ მუხაესტატეში მდებარე „თამბაქოს არომატების ქარხანა“-ში ჩილიმის არომატების წარმოება თამბაქოს შემცველობით.

წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია ხორციელდება როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე - H HOOKAH სასაქონლო ნიშნით.

„თამბაქოს არომატების ქარხანის“ მშენებლობა ეიჩ ჰუკამ განახორციელა საკუთარი ძალებით კაპიტალში შეტანილ მიწის ნაკვეთზე (20.33.04.385), რომელიც დასრულდა და ექსპლუატაციაში შევიდა 2023 წლის საანგარიშო პერიოდში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით:

კომპანიის მფლობელები

- ფადი ფაიად, LR1960222 /ლიბანი/ - 20%
- შადი ფაიად, LR2260801 /ლიბანი/ - 20%
- ვალიდ რაჰალი, HG042606 /კანადა/ - 10%
- ელიას მუბარაქ, LR2351515; LR1001519 /ლიბანი/ - 10%
- ჯოზეფ ფადოულ ელ აჩქარი, 12CH23083 /საფრანგეთი/ - 10%
- ნატალიე რაჰალ, LR1112057, 61791007962 /ლიბანი/ - 30%

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - ფადი ფაიად, LR1960222 /ლიბანი/
- დირექტორი - ნატალიე რაჰალ, LR1112057, 61791007962 /ლიბანი/

3.2. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჯოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდი

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ანგარიშგება არის საწარმოს მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. ხელმძღვანელობის შეფასებით საწარმო განაგრძობს ფუნქციონირებას და ამ მხრივ სხვა გარემოება არ გამოვლენილა

საანგარიშო ვალუტა

საწარმოს საანგარიშო ვალუტაა ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი განვლის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს,

მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

- საოფისე აღჭურვილობა 3-5 წელი
- ავეჯი და სხვა ინვენტარი 3-5 წელი
- უძრავი ქონება - 20 წელი.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სასაქონლო ნიშანი და კომპიუტერული პროგრამა.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარება გარიგების ფასით. მისი შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

საფაქრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე გადასახადების ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა.

2023 წლის საანგარიშო პერიოდში საწარმოს მიერ დივიდენდი არ არის გაცემული.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ძირითადად მოიცავს ფულს ბანკში. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდით.

შემოსავალი

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს.

სააღრიცხო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხო პოლიტიკაში არ გამოვლენილა.

3.3. დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები.

საანგარიშგებო პერიოდში დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ განხორციელებულა.

3.4. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

დირექტორი

ნატალიე რაჭალ

